არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება

№067/01 2018 წლის 5 დეკემბერი ქ. თბილისი

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის სერვისების განვითარებისა და კომუნიკაციის სამსახურის კარიერული მხარდაჭერის სერვისების დამტკიცების შესახებ

საქართველოს კანონის - „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ 35-ე მუხლის, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის წესდების მე-4 მუხლის 3 ნაწილის, მე-14 მუხლის პირველი ნაწილის, მე-3 ნაწილის „ბ“, „ე“, „ვ“ და „ლ“ პუნქტისა და მე-4 ნაწილის შესაბამისად, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის სერვისების განვითარებისა და კომუნიკაციის სამსახურის კარიერული მხარდაჭერის სერვისები დანართის შესაბამისად.
2. ამ ბრძანების ასლი გამოქვეყნდეს საჯაროდ.
3. ეს ბრძანება თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში შესასრულებლად გადაეგზავნოთ უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებს/პერსონალს.
4. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
6. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

პროფესორი, არქიმანდრიტი ადამი
(ვახტანგ ახალაძე)

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის სერვისების განვითარებისა და კომუნიკაციის სამსახურის კარიერული მხარდაჭერის სერვისები

კარიერული სერვისის მიზნები და დანიშნულება:

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) სერვისების განვითარებისა და კომუნიკაციის სამსახურის - **კარიერული სერვისის** მიზანია უზრუნველყოს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების სტრატეგიების შემუშავება, მჭიდრო კონტაქტის დამყარება საქართველოში მოქმედ საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ბიზნესსექტორთან, სხვადასხვა მსხვილ კომპანიებთან და სახელმწიფო სტრუქტურებთან, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების, როგორც დასაქმების მსურველთა, ბაზის შექმნა.

კარიერული სერვისის მიზნები და ამოცანები:

კარიერული სერვისის მიზანია სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობა, შესაბამისად, მისი ამოცანებია:

სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისათვის სამუშაო ადგილების მოძიება და, პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების გათვალისწინებით, მათი მაქსიმალური დასაქმება;

მჭიდრო ურთიერთობის დამყარება უნივერსიტეტსა და საქართველოში მოქმედ სახელმწიფო თუ კერძო ორგანიზაციებთან;

სტაჟირებებისა და პრაქტიკების ორგანიზება საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ;

პროფესიული განვითარების ხელშეწყობა სხვადასხვა სემინარებისა და ტრენინგების ორგანიზებით;

პროფესიული ექსკურსიების მოწყობა;

„დასაქმების ფორუმის“ პერიოდულად ორგანიზება („დასაქმების ფორუმი“ ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა კვალიფიციური პერსონალის შესარჩევად. ფორუმის ძირითადი მიზანია სტუდენტთა შემდგომი მაქსიმალური დასაქმება და მონაწილე ორგანიზაციათა კვალიფიციური პერსონალით უზრუნველყოფა);

დამქირავებლთან შეხვედრების ორგანიზება უნივერსიტეტში;

დამსაქმებლებთან თანამშრომლობის მემორანდუმების/ხელშეკრულებების გაფორმება, რომელიც გაითვალისწინებს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმებას, სტაჟირებებისა და პრაქტიკების შესაძლებლობას, რაც, საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს მათ კარიერულ განვითარებას;

დამსაქმებლის მიერ არჩეული კადრების მიზნობრივი მომზადება შესაბამისი სასწავლო კურსებით.